

საინფორმაციო ფურცელი

საინფორმაციო ფურცელი წარმოადგენს დაზღვევის პირობების შესახებ ზოგად, არაამომწურავ ინფორმაციას და არ უნდა იქნეს განხილული როგორც დაზღვევის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ან მისი პირობა. საინფორმაციო ფურცლის გაცნობა, აგრეთვე მზღვეველის მიერ აღნიშნულ ფურცელთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებები, არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს და არ ქმნის მხარეთა შორის რაიმე სახის უფლებებსა თუ ვალდებულებებს. დაზღვეულსა და მზღვეველს შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება მხოლოდ შესაბამისი დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი პირობებით.

მზღვეველი:	სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“
საიდენტიფიკაციო კოდი:	404393152
იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი:	ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №19
ტელეფონი:	+995 32 2 991 991
ელ - ფოსტა:	unison@unison.ge
დაზღვევის ხელშეკრულების სახე და აღწერა:	ჯანმრთელობის დაზღვევა
დაზღვევა ხდება შემდეგი სადაზღვევო რისკებისგან:	დაზღვეული რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები იხილეთ ჯანმრთელობის დაზღვევის პირობების მე-5 მუხლში.
დამატებითი დაფარვები:	დამატებითი დაფარვები (სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის სახით) ასეთის არსებობის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს სადაზღვევო პოლისში.
სადაზღვევო პრემიის გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი	პირგასამტეხლო/ხელშეკრულების გამომდინარე სანქციები იხილეთ ჯანმრთელობის დაზღვევის პირობების მე-13 მუხლში.

ფრანშიზა	წინამდებარე დაზღვევა ფრანშიზას არ ითვალისწინებს
დაზღვევის გამონაკლისი პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი	სრულყოფილი ჩამონათვალი იხილეთ ჯანმრთელობის დაზღვევის პირობების მე-9 პუნქტში. პირველადად დაზღვეულებზე ასევე იმ პირებზე, რომელთა უკანასკნელი უწყვეტი სადაზღვეო პერიოდიდან გასულია 1(ერთი) თვე და მეტი, გადაუდებელ ჰოსპიტალურ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ვრცელდება მოცდის პერიოდი 15 (თხუთმეტი) დღე. პირველადად დაზღვეულებზე ასევე იმ პირებზე, რომელთა უკანასკნელი უწყვეტი სადაზღვეო პერიოდიდან გასულია 1(ერთი) თვე და მეტი, გეგმურ/სასწრაფო დაყოვნებად ჰოსპიტალურ მომსახურებაზე ვრცელდება მოცდის პერიოდი 12(თორმეტი) თვე. პირველადად დაზღვეულებზე ასევე იმ პირებზე, რომელთა უკანასკნელი უწყვეტი სადაზღვეო პერიოდიდან გასულია 1(ერთი) თვე და მეტი, კარდიოლოგია/კარდიოქირურგია მომსახურებაზე ვრცელდება მოცდის პერიოდი „სტარტი“და „კლასიკი“ პაკეტებზე 24(ოცდაოთხი) თვე, ხოლო პაკეტებზე: „ედვანსი“, პრემიუმი“ და „UNIQUE“ -12 (თორმეტი) თვე. თვეპირველადად დაზღვეულებზე, ასევე იმ პირებზე, რომელთა უკანასკნელი უწყვეტი სადაზღვეო პერიოდიდან გასულია 1(ერთი) თვე და მეტი, ონკოლოგიურ მომსახურებაზე ვრცელდება მოცდის პერიოდი 12(თორმეტი) თვე. ნებისმიერი პაკეტით პირველადად დაზღვეულებზე ასევე იმ პირებზე, რომელთა უკანასკნელი უწყვეტი სადაზღვეო პერიოდიდან გასულია 1(ერთი) თვე და მეტი, გეგმური დღის ჰოსპიტალური/ერთ საწოლდღიანი ჰოსპიტალური მომსახურებაზე ვრცელდება მოცდის პერიოდი 12(თორმეტი) თვე, ხოლო გადაუდებელ დღის ჰოსპიტალური/ერთ საწოლდღიანი ჰოსპიტალური მომსახურებაზე ვრცელდება მოცდის პერიოდი 15(თხუთმეტი) დღე. ნებისმიერი პაკეტით პირველადად დაზღვეულებზე ასევე იმ პირებზე, რომელთა უკანასკნელი უწყვეტი სადაზღვეო პერიოდიდან გასულია 1(ერთი) თვე და მეტი, გეგმურ მაღალტექნოლოგიურ კვლევებზე (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტორეზონანსული კვლევა PET-CT) ვრცელდება მოცდის პერიოდი 9 (ცხრა) თვე.

	ნებისმიერი პაკეტით პირველად დაზღვეულებზე ასევე იმ პირებზე, რომელთა უკანასკნელი უწყვეტი სადაზღვეო პერიოდიდან გასულია 1(ერთი) თვე და მეტი, ორსულობა-მშობიარობის მომსახურებაზე ვრცელდება მოცდის პერიოდი 24(ოცდაოთხი) თვე.
სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვეო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვეო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:	იხილეთ ჯანმრთელობის დაზღვევის პირობების მე-8 მუხლში. დაზღვეული ვალდებულია მზღვეველთან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ასანაზღაურებელი დოკუმენტები რომელშიც ასახული უნდა იყოს კონკრეტული სამედიცინო მომსახურების საჭიროებაზე ექიმ-სპეციალისტის მიმართვა, დიაგნოზი, მომსახურების სახე და ღირებულება, ასევე მომსახურების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.